12 სექტემბერი
12 September

18:30

Thomas Quasthoff / voice & moderator
Simon Oslender / piano
Dieter Ilg / double bass
Wolfgang Haffner / drums

“FOR YOU!”

თომას კვასტჰოფი/ ვოკალი & მოდერატორი
საიმონ ოსლენდერი/ ფორტეპიანო
დიტერ ილგი / კონტრაბასი
ვოლფგანგ ჰაფნერი / დრამი
“შენთვის!”

Scroll Down

როდესაც თომას კვასტჰოფი ასრულებს თავის ახალ პროგრამას, ყველაფერზე მეტად თვალში გეცემა ის, რომ იგი აბსოლუტურად ავთენტურია. კვასტჰოფს აქვს სტილის საოცარი შეგრძნება და არ აქვს მნიშვნელობა, რას ასულებს იგი - საოპერო არიებს, კლასიკურ და ხალხურ სიმღერებს, ჯაზს, პოპსა, თუ სოულს. კვასტჰოფმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ მან, განათლებით კლასიკურმა მომღერალმა, წარმოუდგენლად მრავალმხრივი ბას-ბარიტონის ხმის მფლობელმა, ასევე აითვისა აფროამერიკულ ტრადიციებში ფესვგადგმული ჟანრები. ამრიგად, ის თვისებები, რომლებიც კლასიკურ მომღერალ კვასტჰოფში აღფრთოვანებას იწვევდა, ვლინდება სხვა ჟანრებში მუშაობისასაც. ”ის მტკიცედ აყენებს თავის პიროვნებას მუსიკისა და ტექსტის მსახურებაში. მისი მიზანია, გამორიცხოს ყოველივე ხელოვნური და მიაღწიოს თავის მსმენელამდე მხოლოდ უტყუარობის გზით“, - აღნიშნა ერთმა კრიტიკოსმა. კვასტჰოფმა კლასიკური მომღერლის კარიერა 2012 წელს დაასრულა და სცენას იგი როგორც ჯაზისა და სოულის მომღერალი დაუბრუნდა. მომღერალი ღიმილით აღნიშნავს: ”მე შევისწავლე ახალი ინსტრუმენტი - მიკროფონი. ვისწავლე ხმითა და მიკროფონის გამოყენებით ახალი ფერების შექმნა; შემიძლია ვიმღერო რბილი, ბლადისთვის შესაფერისი ხმით და ამით შევქმნა სრულიად ახალი სახის ინტიმურობა”. "მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხმის პატრონმა", როგორც ერთხელ Der Stern-მა დაახასიათა ის, ზუსტად იცის, რას აკეთებს. ისიც იცის, რა სურს. მასში საშემსრულებლო ოსტატობა ერწყმის მაღალ გემოვნებას, რისი დემონსტრირებაც კვასტჰოფმა არაერთხელ მოახდინა თუნდაც შუბერტის სიმღერების დაუვწყარ ინტერპრეტაციებში. იგივე იკვეთება ჯაზშიც. ის, თუ როგორ აღწევს ბას-ბარიტონი თავის მიზანს, როგორ ეხება თავისი ხმით მსმენელს, დასტურდება აუდიტორიის რეაქციებითა და პრესის საქებარი რევიუებით. რევიუებში აღწერილია ამ განსაკუთრებული ხმის მიერ ადამიანებში გამოწვეული აღტაცება და ენთუზიაზმი. ახლა მომღერალს სურს დაუბრუნოს მსმენელს ის, რასაც ის წლების განმავლობაში აძლევდა კვასტჰოფს, უნარჩუნებდა რა ამით რწმენას. მაშასადამე ეს კონცერტია თქვენთვის! მომღერალს უერთდება სამი შესანიშნავი ჯაზ-მუსიკოსი: დიტერ ილგი - გერმანელი ჯაზ-კონტრაბასისტების წინამძღოლი, ვოლფგანგ ჰაფნერი - გერმანიის ყველაზე ცნობილი დრამერი და საიმონ ოსლენდერი - გერმანული მუსიკალური სცენის ერთ-ერთი ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც უკრავს ფორტეპიანოზე, ორგანსა და კლავიშებზე.

When Thomas Quasthoff performs his new programme FOR YOU, he is one thing above all else – absolutely authentic. Quasthoff has an unerring instinct for the appropriate style of whatever he is singing. This applies to opera arias, art and folk songs just as much as jazz, pop and soul. He has long proven that he – a classical singer by training, with an incredibly versatile bass-baritone – has also mastered genres rooted in the Af-ro-American tradition. Thus, all the qualities one admires in Quasthoff as a recitalist also become the golden rule for everything else: “He places his personality firmly at the service of music and text. His aim is to ex-clude anything artificial, reaching his listeners through veracity,” to quote one critic. Quasthoff ended his career as a classical singer in 2012; as a jazz and soul singer, he has since found his way back onto the stage. As he says with a smile, “I have learned a new instrument: the microphone. I have learned to create new sound colours using it; I can produce a soft ballad sound, and that has enabled me to evoke a whole new intimacy.” The “man with the most beautiful voice in the world,” as Der Stern once called him, knows exactly what he is doing. And what he wants. The fact

that his interpretational prowess is matched by his taste was demonstrated by his unforgotten Schubert interpretations and is now evident with the same level of authenticity in jazz. How the bass-baritone lives up to his goal of truly touching people with his voice is evidenced by audience reactions and accolades from the press, documenting the fascination and enthusiasm this exceptional voice continues to arouse in his listeners. Now he would like to give something back to the audience which has kept its faith in him all these years – hence FOR YOU! He is joined by three excellent jazz musicians: Dieter Ilg, the doyen of German jazz bass players, Wolfgang Haffner, Germany's best-known drummer, and Simon Oslender, one of the rising stars of the German music scene on piano, organ and keyboards.

Programme

2021 8–19 September
3rd Edition
Tsinandali Festival